საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

07.04.2022

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში შპს „ემ თი ეი"-ს (მთის ტრასების სააგენტო) დაგეგმილი აქვს ხელოვნური გათოვლიანების სისტემის წყლით მომარაგებისთვის დიდველის და მიტარბის წყალსაცავების, ასევე მათი დამაკავშირებელი მილსადენის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

2023 წელს დაბა ბაკურიანში დაგეგმილია სათხილამურო და სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება.

დიდველის და კოხტა-მიტარბის სათხილამურო ზონისთვის, გათოვლიანების სისტემისთვის საჭირო, თოვლის დამზადების პროცესის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა:

- დიდველის წყალსაცავი - მოცულობა 201,433 $მ^3$;
- მიტარბის წყალსაცავი - მოცულობა 105,498 $მ^3$;
- დიდველის და მიტარბის წყალსაცავების დამაკავშირებელი (DN 300) 6510 მ სიგრძის მილსადენი.

ზემოაღნიშნული პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქმისწარმოების განხორციელების მიზნით **შპს „ემ თი ეი"-ს** მიერ მინდობილობის საფუძველზე **(იხ. დანართი)** მოხდა უფლებამოსილების გადაცემა **შპს „რეალჯი"-ზე ს/ნ: 404578587** .

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 21-ე პუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 $მ^3$-ზე მეტია) გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე მომზადდა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 8560
08.04.2022
2/1/ СВ
+ 02 +

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD ;
- შპს „ემ თი ეი"-ს მინდობილობა.

პატივისცემით,

შპს „რეალჯი"-ს დირექტორი

ანდრო ბუცხრიკიძე